პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 139 (4649) 18 ივლისი, სამშაბათი. 1972 წ. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

## პრიზიორები ორი კოლექტივიდან

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის ტირში შეკრებილ ტყვიის მსროლელებს მხოლოდ ოთხი ვარჯიში ჰქონდათ შესასრულებელი და ოთხივე მცირეკალიბრიანი იარაღით. ტურნირისთვის ყველა კოლექტივი საკმაოდ მომზადებული ვერ აღმოჩნდა. ამ მხრივ ყველაზე მეტად პირველი ჯგუფის კოლექტივებში მოასპარეზე სპორტკლუბ „ელმავლის" ნაკრებს უნდა ვუსაყვედუროთ.

რკინიგზელებმა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში 740 ქულა ძლივს მოაგროვეს, მაშინ, როცა ამ ვარჯიშში უძლიერესმა — სპორტკლუბ „გამარჯვების" კოლექტივმა (ყოველ გუნდს ვარჯიშში ჩათვლას 3 საუკეთესო მონაწილე აძლევდა) 1742 ქულა მიიღო, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა კი 1735.

„ელმავლის" მსროლელებმა თავი ვერც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე (254) და ამავე იარაღით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე 60 გასროლაში (553) გამოიჩინეს. ამიტომ I ჯგუფის კოლექტივების შეჯიბრებაში მათ ბოლო ადგილი ხვდათ.

ტურნირის ორგანიზატორებმა დებულება ერთგვარად დაარღვიეს, როცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი მეოთხე ჯგუფის მაგიერ პირველი ჯგუფის კოლექტივების ტურნირში გამოიყვანეს. ეს გადაწყვეტილება მათ იმით ახსნეს, რომ უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში მარტო მომავალი ინჟინრები გამოდიოდნენ. დიდი საწარმოების კოლექტივებისთვის შექმნილ პირველ ჯგუფში თავიანთი სპორტსაზოგადოებების ტურნირებში საუკეთესონი — სპორტკლუბები „გამარჯვება", „სინათლე" და „ელმავალი" ასპარეზობდნენ.

საბოლოოდ „გამარჯვებასა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებს 6-6 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ („გამარჯვებამ" მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ორივე ვარჯიში მოიგო, სტუდენტებმა კი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლის ორივე ვარჯიშში ისახელეს თავი). საერთო I ადგილი ხვდათ მომავალ ინჟინრებს, რომელთაც ოთხივე ვარჯიშის ჯამში მეტი ქულა აღმოაჩნდათ. III ადგილზეა „სინათლე" — 12 საჯარიმო ქულა.

მეორე ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის კოლექტივმა, მესამე ჯგუფში — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მსროლელებმა.

ცეცხლის ხაზზე 46 სპორტსმენი (მათ შორის, 3 ქალი) გამოვიდა. ყველა საპრიზო ადგილი მომავალმა ინჟინრებმა და „გამარჯვების" გუნდის წევრებმა დაინაწილეს. გამონაკლისი იყო მხოლოდ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლა, სადაც III ადგილი პირად პირველობაში მებრძოლმა, უნივერსიტეტის დიპლომანტმა მანანა ღვინერიამ დაისაკუთრა — 264 ქულა. მას მხოლოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა ლ. ქაჯაიამ (272) და გ. გალოგრემ (269) აჯობეს.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში ყველა საპრიზო ადგილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს მ. ჟამურაშვილს — 580 (287+293), გალოგრეს—574 (284+290) და გ. კერხუაშვილს — 572 (281+291) ხვდათ.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში საუკეთესონი იყვნენ სპორტის ოსტატები ვ. აბაჯიანი („გამარჯვება") და ვ. ხკრინიკოვი (სპი).

სტანდარტზე (3×20) სროლა აბაჯიანმა მოიგო — 562 ქულა 600-დან. ხკრინიკოვი მას 4 ქულით ჩამორჩა. სამაგიეროდ, წოლილა 60 გასროლით ხკრინიკოვმა (588) აბაჯიანს 3 ქულა მოუგო.

ქ. ძიმისტარიშვილი.

## [illegible]-72

● ელისტა, 15 ივლისი. სსრ კავშირის მოტობურთელთა ჩემპიონატის დღეს აქ გამართულ მორიგ მატჩში ადგილობრივმა „კომეტა-ავტომობილისტმა" ფრედ (1:1) ითამაშა პოლტავის „ვიმპელთან" და ვადამდე მოიპოვა ჩემპიონის წოდება, რომელსაც მანამდე უკვე სამჯერ ფლობდა. ამავე დროს, „კომეტა" ევროპის 1971 წლის თასის მფლობელიცაა.

● ლენინგრადი, 16 ივლისი. კლუბ „ბოლშაია ნევას" მოწყობილი ტრადიციული მარათონული გაცურვის ტრასა დაბა ოტრადნოედან ალექსანდრე ნეველის ხიდამდე გადიოდა. ამ 35-კილომეტრიანი მარათონის მონაწილეთა და გამარჯვებულთა შორის იყვნენ სპორტის ვეტერანები, მშდ კომპლექსის პირველი ნიშნოსნები — პროფესორი მ. რუსინოვი, პიანისტი მ. ბერზინა, ლენინგრადის ქალაქის საბჭოს კულტურის სასახლის მუშაკი ნ. გორბაჩოვა. ფინიშის შემდეგ გაცურვის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო პრემიების ოთხგზის ლაურეატმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა მ. რუსინოვმა თქვა: „უახლოეს ხანში ნევაზე კიდევ უფრო დიდ გაცურვას ვაპირებთ — 50 კილომეტრზე. დღევანდელი გამოცდა წარმატებით დამთავრდა, თუმცა ძლიერი პირქარი უშერავდა".

● ვენა, 16 ივლისი. მსოფლიო რეკორდსმენმა ილონა გუზენბაუერმა (ავსტრია) 188 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

## მესამე პარტია

სპასკი — ფიშერი

ინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 c5 4. d5 ed 5. cd d6 6. მc3 g6 7. მd2 მbd7 8. e4 კg7 9. კe2 0—0 10. 0—0 ეe8 11. ლc2 მh5 12. კ:h5 gh 13. მc4 მe5 14. მe3 ლh4 15. კd2 მg4 16. მ:g4 hg 17. კf4 ლf6 18. g3 კd7 19. a4 b6 20. ეfe1 a6 21. ეe2 b5 22. ეae1 ლg6 23. b3 ეe7 24. ლd3 ეb8 25. ab ab 26. b4 c4 27. ლd2 ეbe8 28. ეe3 h5 29. ე3e2 მფh7 30. ეe3 მფg8 31. ე3e2 კ:c3 32. ლ:c3 ე:e4 33. ე:e4 ე:e4 34. ე:e4 ლ:e4 35. კh6 ლg6 36. კc1 ლb1 37. მფf1 კf5 38. მფe2 ლe4+ 39. ლe3 ლc2+ 40. ლd2 ლb3 41. ლd4. პარტია გადაიდო ამ მდგომარეობაში:



41-ე სვლა ფიშერმა ჩაიწერა.

კვირა დილით ფიშერი ნიუ-იორკში აპირებდა წასვლას — ტელევიზიაში ხარფიან გამოსვლას ჰპირდებოდნენ. თვითმფრინავზე ბილეთიც აიღო, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა, ალბათ შეაშინა იმ დილით მთავარი არბიტრის, დიდოსტატ ლ. შმიდის (გფრ) სახელზე მოსულმა ფიდეს პრეზიდენტის მ. ეივეს დეპეშამ. პრეზიდენტი წერდა: თუ ფიშერი არ გამოცხადდა მესამე და მეოთხე პარტიებზე, მატჩი წაგებულად ჩაეთვლებაო.

და აი, ფიშერი გამოცხადდა მესამე პარტიის სათამაშოდ. შმიდმა მეტოქეები უმაყურებლო ოთახში დასვა, რისი უფლებაც ჰქონდა. ფიშერმა უკმაყოფილება გამოთქვა დარბაზში თამაშის გამო. მაყურებლები პარტიას თვალს ადევნებდნენ სატელევიზიო სადემონსტრაციო დაფის მიხედვით. ამ დღეს ამერიკელი ბიზნესმენის ჩ. ფოქსის ტელე-კინოკამერები უქმად იდგა.

სპასკიმ, როგორც პირველ პარტიაში, თამაში ახლაც ლაზიერის პაიკით დაიწყო. მესამე სვლაზე ფიშერმა მწვავე ხადებიუტო სისტემა — ინდური დაცვა აირჩია. პარტია კარგად ცნობილი სქემის მიხედვით წარიმართა.

მე-11 სვლაზე ფიშერმა სიახლე გამოიყენა. სპასკიმ თითქმის 20 წუთს იფიქრა, ვიდრე ამ მხედარს გაცვლიდა. ფიშერს პაიკები გაუორდა, მაგრამ ძალიან პერსპექტიული თამაშის საშუალება მიიღო.

ორიოდე სვლაში ფიშერმა ლაზიერით და მხედრით შეუტია მსოფლიო ჩემპიონის მეფეს. სპასკი იძულებული შეიქნა შავი პაიკების წყობა გაეხშირებინა.

შემდგომ სპასკი პასიურად იბრძოდა. ფიშერმა შეძლო ინიციატივას დაუფლებოდა. 28-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა პაიკი შესთავაზა მეტოქეს, მაგრამ ამერიკელმა დიდოსტატმა არ მიიღო. იგი ისევ ძლიერად თამაშობდა. 34-ე სვლაზე პაიკი მოიგო. სპასკიმ ისღა შეძლო, რომ ოთხივე ეტლი გაცვალა და ლაზიერების ენდშპილში დაფაზე ორი სხვადასხვა ფერის კუ დატოვა.

ენდშპილში ფიშერის ლაზიერი უფრო მარჯვედ მოქმედებდა, მან ბევრი სერიოზული მუქარაც შექმნა თავის კუსთან ერთად.

41-ე სვლაზე, როცა თამაშის დაწყებიდან 4 საათი და 40 წუთი იყო გასული, ფიშერმა პარტია გადადო. სვლა მან ჩაიწერა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი (მარცხნივ), საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი და დიდოსტატი ე. გელერი.

კამერა პრეს—საკდესის ფოტო.



## ფინიშთან ოსტატებად მივიდნენ

შაბათს, 15 ივლისს, სერებრიანი ბორში დამთავრდა აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. 1000-მეტრიანი ტრასა 2 წუთსა და 59 წამში გაიარა რვა მოსკოველმა სპორტსმენმა (პირველი მენიჩბე ე. მოროზოვა). მათი შედეგი საუკეთესოა ამ ტრასაზე გამართული რეგატების ისტორიაში, თუმცა ნიჩბოსნობაში რეკორდები არ აღინუსხება.

ეს პირველობა ბოლო შესარჩევი შეჯიბრება იყო კონტინენტის ჩემპიონატის წინ, რომელიც აგვისტოს პირველ ნახევარში მოეწყობა ბრანდენბურგში, ბერლინის მახლობლად. ამან, რასაკვირველია, იმოქმედა ტურნირის მსვლელობაზე — ბრძოლა ყველა სერიაში ულრესად მწვავე და დაძაბული იყო.

ჩემპიონები უცვლელნი დარჩნენ მხოლოდ ერთ კლასში — ორადგილიანი წყვილმოსასმელიანების ტურნირში. ესენი არიან ლენინგრადელები გ. სუსლინა და ე. კონდრაშინა.

ტურნირი სამ დღეს გაგრძელდა. რეგლამენტმა ბევრ სპორტსმენს პროგრამის ორ სახეობაში გამოსვლის საშუალება მისცა და ზოგიერთმა ორი ჯილდო დაისაკუთრა, თუმცა წყვილი ოქროს მედალი არავის მოუღია.

ნიჩბოსნობის მოყვარულები კარგად იცნობენ კაუნასელ გ. შიდაგიტეს. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც იყო და კონტინენტისაც. შარშან შიდაგიტე გათხოვდა და სტარტზე აღარ გამოსულა. ახლა იგი ახალი გვარით (რამოშკენე) გამოჩნდა სარბიელზე და ისევ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

უნდა აღინიშნოს ასტრახანის ეკიპაჟის (ვ. სტეშენკო და ლ. ვორობიოვა) წარმატება. ორივე ნიჩბოსანი 20 წლისაა. სტეშენკო პროფტექსასწავლებლის მასწავლებელია, ვორობიოვა მუშაა. სტარტზე ორივე სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო, ფინიშთან კი ნამდვილ ოსტატებად მივიდნენ.

ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ლენინგრადის, მოსკოვისა და სარატოვის დინამოელებს ხვდათ. სხვათა შორის, ლენინგრადელთა პირველმა მენიჩბემ გ. ფიოდოროვამ შარშან ერთადგილიანებით შეჯიბრება მოიგო.

ოთხადგილიანი მესაჭიანი გასაშლელი ნავებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა რსფსრ-ს ნაკრებმა, რომლის პირველი მენიჩბეც კარგად ცნობილი ნოვგოროდელი სპორტსმენი ნ. ბისტროვა იყო.

მ. კუკუშკინი,
(საკდესის კორ.)

მოსკოვი, 16 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამები და შვილები

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

მასალები დაწერილია სპეციალურად „ლელოსთვის“

50



არა, ეს წერილი მამათა და შვილთა ცნობილ პრობლემას არ ეძღვნება. დღეს ლაპარაკი გვექნება არანაკლებ პოპულარულ სპარტაკიადაზე, რომელიც ყოველ წელიწადს ტარდება პანევეჟისში. ეს ქალაქი მოსახლეობის რიცხვით რესპუბლიკის მეხუთე ქალაქია ლიტვის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი განთქმული გახლავთ ლუდით, ძეხვით, თეატრში ანშლაგებით, კალათბურთელებით და მაგიდის ჩოგბურთის ოსტატებით, რომლებიც სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ვილიუს ვარიაკოისმა აღზარდა.

და აი, აგერ უკვე მეხუთე წელია პანევეჟისმა ამ ახალი სპარტაკიადითაც გაითქვა სახელი. ასპარეზობას ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი ატარებს, მონაწილენი კი სახლმმართველობათა გუნდები არიან. თვით შეჯიბრების სახელი გვამცნობს, რომ სარბიელზე მთელი ოჯახები გამოდიან. მოდით, ერთად დავესწროთ ერთ-ერთ ასეთ სპარტაკიადას.

ქალაქის ცენტრალური სტადიონი საზეიმოდაა მორთული. სექტემბრის მზე ჯერ კიდევ მცხუნვარე სხივებს არ აკლებს დედამიწას, დილის ნისლი იფანტება. სპორტული კომბინატისკენ ქალაქის ყველა რაიონიდან მოიჩქარიან სპარტაკიადის მონაწილენი — დედები, მამები, შვილები. ყველაზე პატარები ორ- და სამბორბლიანი ველოსიპედებით მოდიან. ამ კვირას სწორედ სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები იწყობა. ცენტრალური ტრიბუნის წინ სათამაშოებით სავსე რამდენიმე ყუთი დგას. გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც საჩუქრებს დაურიგებენ (სამი წლის ბავშვებს გაცილებით უფრო სწყვეტთ გულს წაგება, ვიდრე 30 წლის კაცებსა და ქალებს).

ისმის მუსიკა და სარბენ ბილიკებზე შეჯიბრების მონაწილენი გამოდიან. ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდება. ჯერ სკოლამდელები მოდიან თავიანთი სამბორბლიანი მანქანებით, შემდეგ „ველოსპორტის ოსტატები“ — პირველკლასელები. შემდეგ ცოტა მათზე უფროსები გამოჩნდებიან, სულ ბოლოს კი დედები და მამებიც დგებიან სტარტზე. ტრიბუნებზე ის ხალხი ზის, ვინც უკვე ვეღარ მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრებაში, მაგრამ გულმხურვალედ უჭერს მხარს თავისიანებს. აქ არიან ბებიები, დედების ერთი ნაწილი, უამრავი ნაცნობი და ნათესავი. ასპარეზობა სამ ასაკობრივ ჯგუფად ტარდება — სკოლამდელი, სკოლისა და უფროსი ასაკის სპორტსმენებისთვის.

ტურნირს ყველაზე ნორჩები ხსნიან. მათ სამბორბლიანი ველოსიპედებით 60 მეტრი უნდა გაიარონ წრიდოვან ბილიკზე. ეს ყველაზე საინტერესო და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მხიარული შეჯიბრებაა.

აგერ, ერთ-ერთ მონაწილეს სტარტის აღებისთანავე დედა მოენატრა, და თავისი მანქანით უკან გაბრუნდა. მეორემ ნახევარი მანძილი გაიარა, მაგრამ აქ მეტოქეებს ჩამორჩა და ტირილი მორთო. სამაგიეროდ, ფინიშის შემდეგ ბავშვები მშვენიერ გუნებაზე დგებიან — საჩუქრები ხომ ყველასთვისაა გამზადებული.

პატარები ერთმანეთს ეჯიბრებიან 30-მეტრიანი მანძილის გარბენასა და ბურთის მიზანში ტყორცნაში. დედები და მამები ასპარეზობენ სროლაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ბაგირის გადაძალვაში.

შეჯიბრება ძალიან საინტერესო იყო, ვინაიდან ყოველი სახლმმართველობა გარდამავალი თასისთვის იბრძოდა და ამიტომაც მთავარი ძალები გამოიყვანა. მაგალითად, ბაგირის გადაძალვაში ბრძოლაში ჩაებნენ რესპუბლიკის ჩემპიონი ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი ვ. კუზმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფრენბურთში ა. ჟიაკასი და სხვა ცნობილი სპორტსმენები.

ვინაიდან სპარტაკიადა მეხუთე წელია ტარდება, უკვე გაჩნდა თავისებური ტრადიციები, უკვე ცნობილი გახდნენ ყველაზე სპორტული ოჯახები. შეჯიბრებაში უცვლელად მონაწილეობენ პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელ ვიტაუტას და ექიმ მარია ზუბკუსების, შათი მეზობლებისა და მეგობრების—კუნციუსების ოჯახები.

პანევეჟისელთა მაგალითს სხვა ქალაქებმაც მიბაძეს. ოჯახურ სპარტაკიადებს ატარებენ კაუნასის სახლმმართველობები. ვილნიუსის ოქტომბრის რაიონის სპორტული დღესასწაულის დროს სტარტი მშობლებთან ერთად ბავშვებმაც აიღეს.

აი, რას ამბობს ამ სპარტაკიადების თაოსანი — პანევეჟისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვარიაკოისი.

— „მამები და შვილები“ უფრო მეტად სააგიტაციო სპარტაკიადაა. ჩვენი სურვილია ქალაქის მცხოვრებნი — დიდებიცა და პატარებიც — სპორტულ ღონისძიებებს მივაჩვიოთ, თუ შეიძლება ითქვას, შეჯიბრებებს „ოჯახური სიმყუდროვე“ შევძინოთ. პირველ წლებში ბევრი საზრუნავი გაგვიჩნდა, მაგრამ ახლა პანევეჟისელები უკვე მიეჩვივნენ ამ შეჯიბრებას და ყოველწლიურად ხალისით მოდიან სტადიონზე საასპარეზოდ ან გულშემატკივრებად. მე ვფიქრობ, მშობლებიც კმაყოფილი არიან და ბავშვებიც, რომლებიც ამ შეჯიბრებაში პირველად ღებულობენ პრიზებს.

ამიტომ, მეგობრებო, თუ პანევეჟისში იყოთ, აუცილებლად ნახეთ ამ ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა — სპარტაკიადა „მამები და შვილები“.

**ვ. საულისი.**

* * *

სურათზე: სპარტაკიადის მონაწილენი.

ი. შეინისის ფოტო.

# რეკორდები

ვიტელი, 16 ივლისი. საფრანგეთის ამ პატარა ქალაქის აუზში ფრანგი მოცურავეების შესარჩევ შეჯიბრებაში მიშელ რუსომ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ევროპის რეკორდი დაამყარა — 52,6 წამი. ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს მისსავე შარშანდელ მიღწევას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს უკვე მესამე შესწორებაა ამ მანძილზე ცურვაში ევროპული რეკორდების ცხრილში, რომლებიც სამი წლის განმავლობაში შეიტანა რუსომ. თანაც იგი „ტრადიციულად“ ზუსტად 0,1 წამით აუმჯობესებს ძველ მიღწევას.

* * *

ლონდონი, 16 ივლისი. დიდი ბრიტანეთის აქ გამართულ ჩემპიონატში 22 წლის დევიდ ბედფორდმა ევროპის რეკორდი დაამყარა 5000 მეტრზე რბენაში — 13.17,2. მას სულ 0,6 წამი დააკლდა ავსტრალიელი რ. კლარკის მსოფლიო რეკორდის გამეორებამდე.

გარბენის დროს ბედფორდმა ევროპის რეკორდი დაამყარა 3 მილზე — 12.52,0.

* * *

მოსკოვი, 16 ივლისი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მთავარ სარბიელზე საკავშირო ჩემპიონატში მოასპარეზე ორიოლელმა პედაგოგმა ვ. ტიხომიროვამ საბჭოთა ქვეყნის რეკორდი დაამყარა ხუთჭიდში — 4739 ქულა (იააფ-ის ახალი ცხრილით). ორდღიან, ცხარე ბრძოლაში (თერმომეტრი პლუს 36 გრადუსს აჩვენებდა) მისი შედეგებია: 100 მეტრზე თარჯრბენი — 13,6 წამი, ბირთვის კვრა — 15 მ, სიმაღლეზე ხტომა — 179 სმ, სიგრძეზე ხტომა — 628 სმ, 200 მეტრზე რბენა — 24,0 წამი. ძველი რეკორდი (4613 ქულა) ასევე ტიხომიროვას ეკუთვნოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შესანიშნავმა მძლეოსანმა ხუთი სახეობიდან სამში (ბირთვის კვრა, სიმაღლეზე ხტომა და 200 მეტრზე რბენა) პირადი რეკორდები დაამყარა, ხოლო ხუთჭიდში მისი ახალი რეკორდი მეორე შედეგია წლეულს მსოფლიოში.

II ადგილი დაიკავა მაკეევკელმა ნ. ტკაჩენკომ (4559 ქულა), ხოლო III — ყარაგანდელმა ვ. ტკაჩენკომ (4324).

ათჭიდელ ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 23 წლის ნ. ავილოვმა — 8115 ქულა (100 მ — 11,1, 400 მ — 49,0, 110 მეტრზე თარჯრბენი — 14,2, 1500 მ — 4.27,8, სიგრძე — 741 სმ, სიმაღლე — 208 სმ, ჭოკი — 430 სმ, ბირთვი — 13,96 მ, ბადრო — 44,20 მ, შუბი — 58 მ). ავილოვის შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში და მხოლოდ ამერიკელი ჯ. ბანისტერის წლევანდელ საუკეთესო ჯამს (8120) ჩამოუვარდება. ავილოვის შედეგი ამ პაპანაქება სიცხეში ნამდვილი გმირობა იყო.

ვერცხლის მედალი ხვდა სსრ კავშირის რეკორდსმენს, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ ბ. ივანოვს (7997 ქულა), ხოლო ბრინჯაოსი — კიეველ ლ. ლიტვინენკოს (7975).

* * *

ფსკოვი, 16 ივლისი. სახანძრო-გამოყენებით სპორტში რუსეთის ფედერაციის პირველობისთვის მებრძოლებმა ორი საკავშირო რეკორდი დაამყარეს (დღეს აქ დამთავრებულ ტურნირში ლატვიის გუნდიც მონაწილეობდა უკონკურსოდ): მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. კიპკომ წინაღობათა 100-მეტრიანი ზოლი 17,4 წამში დაფარა. ძველი რეკორდი (17,5) უკრაინის წარმომადგენელ ვ. კლეიმოვს ეკუთვნოდა. მეორე რეკორდი დაამყარა რიგელმა ნ. სოროკინმა ვარჯიშში „საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეოთხე სართულზე ასვლა“. მისი შედეგია 14,5 წამი. ახალ რეკორდსმენს ამ სახეობაში რუსეთის ჩემპიონი კიპკო სულ 0,4 წამით ჩამორჩა.

სამდღიანი შეჯიბრების მთავარი პრიზი დონის როსტოვში გაემგზავრა, რომლის წარმომადგენლებმაც ხუთ ვარჯიშში ქულათა შესაშური ჯამი დააგროვეს — 15374. ამ გუნდის წარმომადგენლებმა ვ. ჟურინმა, ა. გაერმა, ვ. პოგორელოვმა და ნ. მანინმა ჩემპიონთა წოდება მოიხვეჭეს კომბინირებულ სახანძრო ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 1.11,0. საერთო II ადგილი მოსკოვის გუნდს ხვდა, ხოლო III — კრასნოდარის ნაკრებს.

# მხოლოდ ციფრები

◆ ლიტვის 3 მილიონი მცხოვრებიდან ყოველი მერვე ფიზკულტურელია, ყოველი მეოცე — თანრიგოსანი. V რესპუბლიკური სპარტაკიადის შეჯიბრებებში 416 ათასი კაცი მონაწილეობდა.

◆ 1972 წლის 1 იანვრისთვის რესპუბლიკაში იყო 1654 სპორტის ოსტატი (208 მათგანი 1971 წელს მომზადდა), 64 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1971 წელს მომზადდა 13), 26 სპორტის დამსახურებული ოსტატი.

◆ 10 ეროვნული სახეობის წარმომადგენლებს ლიტვის სსრ სპორტის ოსტატის წოდება აქვთ მიღებული.

◆ ლიტვის 17 მწვრთნელს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. მათგან 7 კალათბურთელებთან მუშაობს. ეს წოდება პირველებმა მიიღეს 1957 წელს ვ. ვარიაკოისმა (კალათბურთი) და ვ. ბარკაუსკასმა (მძლეოსნობა). ყველაზე „ახალგაზრდას“ — ა. გედმინასს (კალათბურთი) სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება 1971 წელს მიენიჭა.

◆ რესპუბლიკაში 20 ლიტვის სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწეა. 462 კაცი დაჯილდოებულია „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, 414 ლიტვის სსრ დამსახურებული მწვრთნელია.

◆ ლიტვაში მუშაობს 9 საერთაშორისო და 148 საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

◆ ლიტვის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა განკარგულებაშია 31 სტადიონი (1500 და მეტი ადგილით), 389 სპორტდარბაზი, 10 დახურული საცურაო აუზი, კალათბურთის 767, ფრენბურთის 824, ჩოგბურთის 48 მოედანი, 269 საფეხბურთო მინდორი, 55 სასროლეთი.

◆ შარშან ვილნიუსში მწყობრში ჩადგა სპორტის სასახლე — რესპუბლიკის უდიდესი სპორტული ბაზა, რომელიც 6000 მაყურებელს იტევს. აქ არის დარბაზი თამაშებისთვის, ხელოვნური საციგურაო მოსაწყობი დანადგარი.

◆ ოლიმპიურ თამაშებში (1952-1968 წ.წ.) ლიტვის სსრ 43 სპორტსმენს აქვს მონაწილეობა მიღებული. მათ წილად მოდის 20 მედალი: ოქროსი 1, ვერცხლის 12, ბრინჯაოს 7. მიუნხენის ოლიმპიადის კანდიდატთა სიაში ამ რესპუბლიკის 25 წარმომადგენელია.

◆ 1971 წელს ლიტვის სამმა სპორტსმენმა სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, შვიდს ვერცხლის მედლები გადაეცა, ექვსს კი ბრინჯაოსი.

◆ 1971 წელს ევროპის პირველობებში ჩემპიონები გახდნენ ფრენბურთელი მ. ბატუტიტე, კალათბურთელი მ. პაულაუსკასი, მოკრივე ი. იუოცაავიჩუსი, მძლეოსანი კ. შაპკა.

◆ კალათბურთელები ლ. ვინჩაიტე და ა. იანკუნაიტე მსოფლიო ჩემპიონები არიან. მსოფლიო პირველობაში კანოისტმა ვ. ჩესიუნასმა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

# ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ზადარი, 17 ივლისი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში დაიწყო ევროპის იუნიორ კალათბურთელთა ჩემპიონატი, რომლის პირველ ტურში კონტინენტის ჩემპიონს — სსრ კავშირის ნაკრებს ხელი მოეცარა: იგი ანგარიშით 53:63 (26:26) დამარცხდა უნგრელ ჭაბუკებთან — მთავარ მეტოქეებთან ჯგუფში. უნგრეთისა და საბჭოთა გუნდებს გარდა პირველობის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ორი საგზურისთვის კიდევ ოთხი ნაკრები იბრძვის. ჩემპიონატი 23 ივლისს დამთავრდება.

◆ **მიუნხენი, 17 ივლისი.** დარბაზში, სადაც ოლიმპიური შეჯიბრებები უნდა გაიმართოს, მსოფლიო ჩემპიონმა — სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა პატარა საერთაშორისო ტურნირის სამივე მატჩი მოიგო. II ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი, რომელიც საბჭოთა ნაკრებთან დამარცხდა — 0:3 (5:15, 8:15, 12:15). III ადგილზეა გფრ-ის გუნდი, IV — ჰოლანდიის კოლექტივი. ვაჟთა ტურნირის გადამწყვეტ მატჩში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა — ბულგარელმა ფრენბურთელებმა სძლიეს მსოფლიო ჩემპიონს — გდრ-ის ნაკრებს — 3:1 (15:11, 14:16, 15:7, 15:8) და სამი გამარჯვებით I ადგილი დაიკავეს. შემდეგ მოდიან გდრ-ის, ჰოლანდიისა და გფრ-ის წარმომადგენლები.

◆ **ჰელსინკი, 17 ივლისი.** ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა საკორდო ავიამოდელიზმში 19 ქვეყნის სპორტსმენებს მოუყარა თავი. დიდი წარმატება ხვდათ მცირე ავიაციის საბჭოთა კონსტრუქტორებს: სარბოლმა მოდელებმა მათ I გუნდური ადგილი და პირადი ჯილდოების მთელი კომპლექტი მოუტანა. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი ვ. ტიმოფეევი და რიგელი კ. პლოცინში, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები შესაბამისად დაისაკუთრეს კიეველებმა ბ. კრასნორუტსკი — ვ. კრამარენკომ და ვ. ონუფრიენკო — ვ. შაპოვალოვმა. საპილოტაჟო მოდელებით შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდმა III ადგილი დაიკავა, ხოლო ჩქაროსნული მიკროძრავიანი თვითმფრინავებით ტურნირში — IV.



სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბ. კრასნორუტსკი.

ვ. ხუხლაევის ფოტო (საკდესი).

## რამდენიმე სტრიქონით

◆ **ზესტაფონი**

ჩატარდა რაიონის სოფლის სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. I ადგილი დაიკავეს სოფელ მეორე სვირის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. II ადგილზე გავიდნენ პირველი სვირის საშუალო სკოლის მძლეოსნები, III — არგვეთის საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

**ა. ბანუზრაავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 18 | 12 | 4 | 2 | 29—14 | 28 |
| „ჩერნომორ." | 18 | 11 | 5 | 2 | 36—14 | 27 |
| „ტორპედო" | 18 | 11 | 2 | 5 | 28—11 | 24 |
| „ზვეზდა" | 18 | 9 | 5 | 4 | 21—15 | 23 |
| „პამირი" | 18 | 9 | 5 | 4 | 25—20 | 23 |
| „შახტ." (დ.) | 18 | 6 | 9 | 3 | 22—12 | 21 |
| „შინიკი" | 18 | 8 | 4 | 6 | 17—15 | 20 |
| „ალგა" | 18 | 6 | 7 | 5 | 18—14 | 19 |
| „სპარტაკი" | 18 | 7 | 5 | 6 | 22—21 | 19 |
| „კრ. სოვეტ." | 18 | 4 | 11 | 3 | 17—19 | 19 |
| „მეტალის." | 18 | 6 | 6 | 6 | 19—18 | 18 |
| „შახტ." (ყ.) | 18 | 5 | 8 | 5 | 15—14 | 18 |
| „სტროიტ." | 18 | 6 | 4 | 8 | 19—31 | 16 |
| „ავტომობ." | 18 | 4 | 7 | 7 | 14—19 | 15 |
| „მეტალურ." | 18 | 5 | 4 | 9 | 25—25 | 14 |
| „დინამო" | 18 | 3 | 7 | 8 | 12—22 | 13 |
| „კრივბასი" | 18 | 3 | 6 | 9 | 24—36 | 12 |
| „ნისტრუ" | 18 | 4 | 4 | 10 | 13—26 | 12 |
| „ტექსტილ." | 18 | 3 | 5 | 10 | 14—31 | 11 |
| „ურალმაში" | 18 | 1 | 6 | 11 | 16—29 | 8 |

მოგვყავს 13 ივლისს ჩატარებული მატჩების შედეგები, რომლებიც არ გვქონდა გამოქვეყნებული: „დინამო" (სოხუმი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 2:2.

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 17 | 9 | 5 | 3 | 27—8 | 23 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 16 | 7 | 7 | 2 | 20—8 | 21 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 17 | 10 | 1 | 6 | 23—20 | 21 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 15 | 7 | 6 | 2 | 21—11 | 20 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 16 | 7 | 6 | 3 | 23—15 | 20 |
| „დინამო" (ბათუმი) | 16 | 7 | 5 | 4 | 28—20 | 19 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 16 | 8 | 3 | 5 | 16—15 | 19 |
| „დილა" (გორი) | 17 | 6 | 6 | 5 | 19—15 | 18 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 16 | 7 | 4 | 5 | 22—20 | 18 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 16 | 6 | 5 | 5 | 21—20 | 17 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 16 | 7 | 3 | 6 | 13—12 | 17 |
| „დინამო" (სოხუმი) | 16 | 4 | 7 | 5 | 19—21 | 15 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 16 | 6 | 3 | 7 | 20—24 | 15 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 16 | 4 | 7 | 5 | 12—17 | 15 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 16 | 3 | 6 | 7 | 14—21 | 12 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 16 | 3 | 5 | 8 | 13—21 | 11 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 16 | 3 | 5 | 8 | 8—19 | 11 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 16 | 1 | 7 | 8 | 11—19 | 9 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 16 | 1 | 3 | 12 | 9—33 | 5 |

# ფრე ფინელებთან

გუშინწინ ფინეთის ქალაქ ვაასაში გაიმართა ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა.

ანგარიში მე-16 წუთზე გახსნა ბლოხინმა (მან მიუსწრო გ. ნოდიას დარტყმის შემდეგ ფინელი მეკარის მიერ უკუგდებულ ბურთს), ხოლო საპასუხო ბურთი მე-80 წუთზე გაიტანა ფინელმა პატელაინენმა.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბანიკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ფომენკო, მატვიენკო, დოლმატოვი, მუნტიანი, კოლოტოვი, ჟუკოვი, გ. ნოდია, ბლოხინი.

საბჭოთა ნაკრების დაცვა უხეში ტაქტიკური შეცდომებით თამაშობდა და მეკარე ბანიკოვს რამდენიმეჯერ მოუხდა საჯარიმო მოედნის დატოვება, რათა გარღვევაზე გასულ მეტოქეთა იერიში მოეგერიებინა.

## გასწრება, გოლები

15 ივლისს მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

„დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:4.

ძველ მეტოქესთან მატჩში სპარტაკელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. მე-7 წუთზე მათი ახალგაზრდა თავდამსხმელის ანდრეევის გატანილი გოლი „დინამოს" ცენტრალური მცველმა პეტრუშინმა 22-ე წუთზე გაქვითა, მაგრამ შემდეგ ბულგაკოვმა (33), მირზოევმა (41) და ლოვჩევმა (57) სამჯერ აიძულეს „დინამოს" მეკარე პილგუი გამოეტანა ბურთი ბადიდან. ანგარიში უფრო მეტიც იქნებოდა, მაგრამ პილგუიმ 81-ე წუთზე შეძლო ანდრეევის მიერ დარტყმული პენალტის მოგერიება. ანდრეევი ამ მომენტში შეეკამათა მსაჯს, რისთვისაც გაფრთხილება მიიღო.

ცსკა — „დინამო" (მინსკი) 0:3.

მინსკელებმა საუცხოოდ ჩაატარეს ეს ძნელი მატჩი და დიდი ანგარიშით დაამარცხეს გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი. ბურთები გაიტანეს ტოლეიკომ (3), ვასილიევმა (32) და ბოგოვიკმა (58).

* * *

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას ლიდერობენ კიეველები ვ. მუნტიანი, ო. ბლოხინი და ტორპედოელი ი. სმირნოვი, რომელთა ანგარიშზეა 7-7 გოლი.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 14 | 10 | 2 | 2 | 27—12 | 22 |
| „დინ." (თბ.) | 14 | 7 | 4 | 3 | 15—11 | 18 |
| „არარატი" | 15 | 5 | 6 | 4 | 20—12 | 16 |
| „დინ." (კ.) | 14 | 5 | 6 | 3 | 22—18 | 16 |
| „დნეპრი" | 14 | 5 | 6 | 3 | 20—16 | 16 |
| ცსკა | 15 | 7 | 2 | 6 | 16—17 | 16 |
| „სპარტაკი" | 14 | 6 | 3 | 5 | 19—12 | 15 |
| „ზენიტი" | 15 | 5 | 5 | 5 | 20—19 | 15 |
| „დინ." (მნ.) | 14 | 4 | 6 | 4 | 13—12 | 14 |
| ასკ | 15 | 5 | 4 | 6 | 18—19 | 14 |
| „ტორპედო" | 15 | 5 | 4 | 6 | 13—20 | 14 |
| „დინ." (მ.) | 14 | 5 | 3 | 6 | 14—17 | 13 |
| „კარპატი" | 15 | 4 | 4 | 7 | 12—17 | 12 |
| „ყაირათი" | 15 | 2 | 8 | 5 | 9—15 | 12 |
| „ნეფთჩი" | 13 | 3 | 3 | 7 | 9—20 | 9 |
| „ლოკომოტ." | 14 | 2 | 4 | 8 | 11—21 | 8 |

*ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე კიევიდან გვატყობინებს*

# ფინალში 2 ოქროს ქულით

XII ВСЕСОЮЗНАЯ СПАРТАКИАДА ШКОЛЬНИКОВ КИЕВ 1972

## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

საქართველოსა და ბელორუსიის ხელბურთელ გოგონათა გუნდების მატჩის წინ ვესაუბრეთ ჩვენი ნაკრების წევრებს ლ. დოლიძესა და მ. ბოჭორიშვილს. ერთიც და მეორეც ამბობდა: მეტოქეებს დავამარცხებთ, სხვაგვარად ფინალურ ჯგუფში ვერ მოვხვდებითო. გოგონები მართლაც დიდად იყვნენ მონდომებულნი და მიაღწიეს კიდეც მიზანს: ამ შეჯიბრებაში ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს — 10:7 (6:3). ახლა მათ თავიანთ ქვეჯგუფში ერთი მატჩი დარჩათ სათამაშო. ჩვენების მომავალი მეტოქეა სომხეთის ნაკრები. შედეგის მიუხედავად, საქართველოს ხელბურთელ გოგონებს ფინალის საგზური უზრუნველყოფილი აქვთ.

ჭაბუკი ხელბურთელების საქმე ჯერ კიდევ საკითხავია. III ტურში ისინი ისვენებდნენ და ჯერჯერობით ორი მატჩიდან მხოლოდ 2 ქულა აქვთ. ფინალის საგზური რომ მოიპოვონ, ამისთვის საჭიროა მომდევნო ორივე მატჩი (აზერბაიჯანისა და უზბეკეთის წარმომადგენლებთან) მოიგონ.

ჩვენი გუნდების ქვეჯგუფებში გამართული დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია:

გოგონები. ყაზახეთი — მოლდავეთი 16:13. საქართველოს ნაკრებს სამი თამაშიდან ქულათა მაქსიმუმი (6) აქვს დაგროვილი. სომხეთს და ყაზახეთს ორ-ორი თამაშიდან 2-2 ქულა აქვთ, ბელორუსიას ორი თამაშიდან — 1, მოლდავეთს სამი თამაშიდან — 1.

ჭაბუკები: აზერბაიჯანი — უკრაინა 18:25, უზბეკეთი — ტაჯიკეთი 13:9. ლიდერობენ უკრაინა — 4 ქულა ორი თამაშიდან და აზერბაიჯანი — 4 ქულა სამი თამაშიდან. საქართველოსა და უზბეკეთის გუნდებს ორ-ორი შეხვედრიდან 2-2 ქულა აქვთ, ტაჯიკეთს — სამი მატჩიდან არც ერთი.

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრები კარგად არიან შერჩეული, მაგრამ მეტოქის კართან ხშირად ისეთ დასანან შეცდომებს უშვებენ, რომ საუცხოო შთაბეჭდილება უმალ ქარწყლდება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ზოგიერთი ფეხბურთელი საწვრთნელ შეცადინეობებზე ძალიან გვიან გამოუშვეს და ნაკრების ხელმძღვანელს ს. სიხარულიძეს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა გუნდის შეთამაშებისთვის.

ჩვენებს ქვეჯგუფში ბოლოსწინა მატჩი თურქმენეთის გუნდთან ჰქონდათ. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ამ დღეს სომხებმა დაამარცხეს მოლდაველები — 2:0, ლენინგრადელებმა — ტაჯიკეთის ნაკრები — 2:0. ბოლო ტურის წინ ქვეჯგუფში 6 ქულით ლიდერობს სომხეთის ნაკრები. საქართველოს, თურქმენეთისა და ლენინგრადის კოლექტივებს 5-5 ქულა აქვთ, მოლდავეთის გუნდს — 2, ტაჯიკეთისას — 1. ჩვენს ფეხბურთელებს ფინალში გასვლის იმედი ჯერ გადაწყვეტილი არა აქვთ. ყველაფერი დამოკიდებულია საქართველო — მოლდავეთის, სომხეთ — ლენინგრადისა და თურქმენეთ — ტაჯიკეთის გუნდების შეხვედრებზე.

ტანვარჯიშში ასპარეზობა დაამთავრეს გოგონებმაც. ნებისმიერი პროგრამის შემდეგ მრავალჭიდში საქართველოს გოგონათა ნაკრებმა, ისევე როგორც ჭაბუკთა გუნდმა, VII ადგილი დაიკავა (353,15). პირველი სამეული ასეთია: 1. მოსკოვი (366,75 ქულა), 2. ბელორუსია (362,55), 3. რსფსრ (361,95). ჩვენს გოგონებს გაუსწრეს უკრაინის, ყაზახეთისა და ლენინგრადის წარმომადგენლებმაც.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა მოსკოვის ნაკრები — 909,05, II — უკრაინა — 904,3, III — ლენინგრადი — 901,4. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები აქაც VII ადგილზე არიან — 880,1.

ჭაბუკთა პირად პირველობაში ოსტატთა პროგრამით გაიმარჯვა მოსკოველმა ნ. განინმა — 108,65 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ასპარეზობდნენ. აქ I ადგილი მოიპოვა ლენინგრადელმა ვ. ლოჟკინმა — 111,15. ჩვენი ჭაბუკების შედეგები ასეთია: 11. გ. იმედაშვილი — 107,55, 17. ვ. სავილოვი — 106,45, 27. გ. რაჭველიშვილი — 105,25, 36. კ. ლაშხი — 103,55, 50. ა. თანდელოვი — 101,25, 56. ზ. ზაალიშვილი — 93,65.

როგორც ხედავთ, ამათგან ვერც ერთმა ვერ შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

ცალკეულ იარაღებზე გამართულ შეჯიბრებაში საქართველოდან მხოლოდ სავილოვმა მოიპოვა წარმატება: ხტომაში II ადგილი დაიკავა (18,45 ქულა), ღერძზე ვარჯიშში — III (18,15).

რაც შეეხება ჩვენს გოგონებს, ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებაში ვერც ერთი მათგანი ექვსეულშიც კი ვერ მოხვდა. მრავალჭიდში (ოსტატთა პროგრამით) საქართველოს წარმომადგენლებიდან საუკეთესო იყო ვ. ვასილიევა, რომელსაც 23-ე ადგილი ხვდა (71,5). 30-ე იყო ქ. გოგიჩაიშვილი (70,95 ქულა), 39-ე — მ. მონიავა (70,25), 41-ე — ს. დუდა (69,65), 42-ე — ნ. მუზაშვილი (69,3), 74-ე — ე. მარეხაშვილი (66,8).

სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა მოსკოველი რ. ბიჩუკინა — 74 ქულა.

საქართველოს მოჭადრაკეებმა გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ესტონეთის ნაკრებს მოუგეს — 6,5:1,5. უკრაინის გუნდთან მატჩის საბოლოო შედეგია 4:4.

ამ ქვეჯგუფში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა — ტაჯიკეთი 7,5:0,5, ლენინგრადი — აზერბაიჯანი 3:5, ესტონეთი — ლენინგრადი 3:5, ტაჯიკეთი — აზერბაიჯანი 2,5:5,5.

III ტურის შეხვედრების არასრული შედეგები: საქართველო — ტაჯიკეთი 7,5:0,5, ლენინგრადი — უკრაინა 5:2 (1 გადადებული), აზერბაიჯანი — ესტონეთი 4:2 (2). ახლა ამ ქვეჯგუფში სამი ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 18 ქულა აქვს. ჯერჯერობით II ადგილზეა აზერბაიჯანი — 14,5 (2), III — უკრაინა — 13,5 (1), IV — ლენინგრადი — 13 (1), V — ესტონეთი — 6,5 (2), VI — ტაჯიკეთი — 3,5. საქართველოს ნაკრებს ქვეჯგუფში ორი მატჩი აქვს გასამართავი — ლენინგრადელებთან და აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან.

ბოლოსწინა ტურში ჩვენმა ჭაბუკმა ფრენბურთელებმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვებით ფინალის საგზური დაისაკუთრეს. მათ იოლად სძლიეს ბელორუსიის ნაკრებს — 3:0 (15:11, 15:6, 15:11).

ამ ქვეჯგუფის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: თურქმენეთი — ყაზახეთი 1:3, რსფსრ — უკრაინა 2:3. საქართველოს ნაკრები ერთპიროვნული ლიდერია (4 ქულა), უკრაინელებს 3 ქულა აქვთ, რსფსრ-ს — 2, ყაზახეთს — 2, ბელორუსიას — 1, თურქმენეთს — 0.

უიღბლოდ წარიმართა საქართველოს გოგონათა ნაკრებისთვის ლენინგრადელებთან შეხვედრა. ჩვენი გოგონები დამარცხდნენ — 1:3 (9:15, 12:15, 15:4, 6:15) და ფინალს მიღმა რჩებიან.

დანარჩენი შეხვედრები: მოლდავეთი — თურქმენეთი 1:3, მოსკოვი — უზბეკეთი — 0:3. ქვეჯგუფში 4-4 ქულით ლიდერობენ უზბეკეთი და ლენინგრადი. მომდევნო ადგილებზე არიან საქართველოს (2), თურქმენეთის, მოსკოვის (თითო) და მოლდავეთის (0) გუნდები.

საქართველოს ჭაბუკი კალათბურთელების წინსვლა ვერავინ შეაჩერა. IV ტურში მათ მოუგეს ლიტვის ძლიერ გუნდს — 68:61 (35:28). ერთი სიტყვით, ჩვენი კალათბურთელები ფინალში 2 ოქროს ქულით შევლენ, ვინაიდან თურქმენეთის გუნდთან შეხვედრის შედეგს მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

დანარჩენი მატჩები: მოსკოვი — ესტონეთი 69:60, თურქმენეთი — მოლდავეთი 52:53. ბოლო ტურის წინ საქართველოს ნაკრებს 4 ქულა აქვს, მოსკოვს — 3, ესტონეთსა და ლიტვას — 2-2, მოლდავეთს — 1, თურქმენეთს — 0.

მორიგი გამარჯვება იზეიმეს ჩვენმა კალათბურთელმა გოგონებმაც — დაამარცხეს ბელორუსიელები — 64:56 (32:29). ყირგიზეთის გუნდმა მოუგო აზერბაიჯანის კოლექტივს — 84:42, მოსკოველებმა აჯობეს მოლდაველებს — 72:42. ლიდერობენ მოსკოველები (4 ქულა). საქართველოსა და ყირგიზეთის გუნდებს 3-3 ქულა აქვთ. სწორედ ამ კოლექტივების შეხვედრაში გაირკვევა ერთ-ერთი ფინალისტის ვინაობა. მოლდავეთისა და ბელორუსიის წარმომადგენლებს თითო ქულა აქვთ, აზერბაიჯანის გუნდს კი არც ერთი.

16 ივლისი.

# ფხაკაძე ძველ ფორმას იბრუნებს

ტულა, 15 ივლისი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი სატრეკო ველოსპორტში და ვაჟთა საკავშირო შეჯიბრება. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ტულელმა თ. გარკუშინამ დაიბრუნა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში — 4.00,7. მან ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ცდაში აჩვენა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი — 3 კმ 3 წუთსა და 57,9 წამში გაიქროლა.

სპრინტერული რბოლის შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მსოფლიოს ექსგზის ჩემპიონი, მოსკოველი გ. ერმოლაევა ავიდა.

ადგილიდან 1000 მეტრზე გიტი და 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლა ვაჟთა შორის მოიგო 18 წლის ლენინგრადელმა ვ. ოსოკინმა. გიტში მისი დრო 1.09,8, ხოლო 4 კილომეტრზე — 5.03,2. ინდივიდუალური რბოლის წინასწარ სერიაში ამ ველოსპედისტმა, რომელიც ცურვაშიც სპორტის ოსტატია, 4 კმ 4 წუთსა და 57,3 წამში დაფარა.

გამოდევნებით გუნდური რბოლა დინამოელებმა (ს. ეგოროვი, მ. მალახოვი, ნ. შიმანოვაჩი, ს. სმირნოვი) მოიგეს. საკვალიფიკაციო სერიაში მათი დრო — 4.31,6 იყო. ასეთი შედეგი საბჭოთა კავშირში არც ერთ გუნდს არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ დინამოელთა ასაკი 19-20 წელს შუა მერყეობს.

სპრინტი მოიგო თბილისელმა ო. ფხაკაძემ. მან საოცრად მოქნილი ტაქტიკა გვიჩვენა. როგორც ჩანს, ფხაკაძე ძველ სპორტულ ფორმას იბრუნებს.

ნ. მახარინეცი,
ა. პერეპელიცა.
(საქდესის სპეც. კორ.).

# იუბილეს მიეძღვნა

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავსა და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალ კომპლექსს მიეძღვნა თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისინის" ფიზკულტურელების სააგიტაციო გარბენი.

2 ივლისს ველოსიპედისტთა ლიდმა ჯგუფმა მწვრთნელის, სპორტის ოსტატ ო. თავაძის მეთაურობით მოტოციკლებისა და ავტომანქანების თანხლებით (კოლონის უფროსი — ინჟინერი ი. მეჭურჭლიშვილი) მოაწყო ლაშქრობა დუშეთში.

ლოზუნგები და პლაკატები, ვიმპელები, სამახსოვრო ნიშნები და სუვენირები უძღვნეს დუშეთის რაიონის კომკავშირელებს თბილისელმა მეფეხსაცმლეებმა. მასპინძლებს მიესალმა საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. დემურია. შემდეგ დაიწყო ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, სადაც 16 მონაწილემ სხვადასხვა ნორმატივი შეასრულა.

გ. კოვალიოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ლიდერი... 18 საათით

ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა თბილისის „ლოკომოტივს“ წლევანდელი საკავშირო პირველობის ლიდერობა მხოლოდ 18 საათით ჩამოართვა: გაგარინელებმა მონინოში გასულ შაბათს მსი-ს დამარცხებით ლიდერობა შეძლეს, მაგრამ კვირას „ლოკომოტივმა“ მოსკოვში „ავტომობილისტის“ სტადიონზე აუტსაიდერს — ადგილობრივ „სპარტაკს“ სძლია და მოწინავე პოზიცია დაიბრუნა.

რაგბისტელთა უპირატესობა პირველივე ტაიმში აშკარა იყო — 10:3. შესვენების შემდეგ „სპარტაკი“, რომელსაც არც ერთი ქულა არა აქვს, თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ ტექნიკურ თბილისელებთან ვერაფერი გააწყო და დამარცხდა — 7:22.

გამარჯვებულ გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო დებიუტანტი გიორგაძე, რომელმაც თავის კოლექტივს 7 ქულა შესძინა.

სსრ კავშირის ჩემპიონი — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი მონინოში მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის (მსი) რაგბისტებს მასპინძლობდა. მსი დაწინაურდა (4:0), მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 14:4.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა — მოსკოვის სპორტკლუბმა „ფილიმ“ საკუთარ სტადიონზე ჩემპიონატის დებიუტანტი — კიევის „სპარტაკი“ მიიღო. კიეველებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს და „მშრალი“ ანგარიშით დამარცხდნენ — 0:20 (0:3).

შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა — ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ კიევში ადგილობრივ „დინამოს“ სძლია — 29:4 (0:0).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ.* | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 6 | 5 | 0 | 1 | 79:51 | 10 |
| „ფილი“ (მოსკოვი) | 6 | 4 | 1 | 1 | 88:24 | 9 |
| სამხ.-საჰაერო აკადემია | 6 | 4 | 1 | 1 | 90:28 | 9 |
| „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) | 6 | 3 | 2 | 1 | 63:44 | 8 |
| მსი | 5 | 2 | 0 | 3 | 64:49 | 4 |
| „სპარტაკი“ (კიევი) | 5 | 2 | 0 | 3 | 57:52 | 4 |
| „დინამო“ (კიევი) | 6 | 1 | 0 | 5 | 40:91 | 2 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 6 | 0 | 0 | 6 | 26:168 | 0 |

* შ. — შეფარდება.



სურათზე: გათამაშების ლიდერი — თბილისის „ლოკომოტივი“ ერთ-ერთ მატჩში.

ო. გელაშვილის ფოტო.

# შენიღბული თავმდაბლობა თუ შიში?

ახლა, როცა მიუნჰენის ოლიმპიადის დაწყებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა, ამერიკის სპორტის ხელმძღვანელობაში მკაფიოდ გაისმის კრიტიკის ხმები. „მიუნჰენში მაგარ მუჭლუგუნს მივიღებთ, — განაცხადა აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესის შეფმა ბ. პოლმა. — სამაგიეროდ, მონრეალისთვის მოვემზადებით ისე, როგორც თანამედროვე სპორტი მოითხოვს“.

რა არის ეს, — შენიღბული თავმდაბლობა თუ მოსალოდნელი ხიფათის ობიექტური შეფასება?

პოლის აზრით, შტატებში შეუძლებელია მზადების ცოტად თუ ბევრად რაციონალური პროგრამის შემუშავება. ტალანტების წყაროს ამერიკაში უნივერსიტეტები წარმოადგენს, ამ სასწავლებლების მწვრთნელებს კი მხოლოდ საუნივერსიტეტთაშორისო შეჯიბრებები აინტერესებთ. ამ შეჯიბრებებზეა დამოკიდებული მათი რეპუტაცია. საერთაშორისო ტურნირები ამ მწვრთნელებს მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ და ნაკლებ ყურადღებასაც აქცევენ.

თავის უაღრესად პესიმისტურ განცხადებას პოლი ასე ამთავრებს: „ბედნიერნი ვიქნებით, თუ სპრინტერთა ოლიმპიურ შეჯიბრებაში ვერცხლი მაინც გვერგება“...

ოლიმპიური პრესის შეფის განწყობილება, როგორც ჩანს, გადამდები გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, პოლის ბოლო დროს ბევრი თანამოაზრე გაუჩნდა. ერთ-ერთი მათგანია სპორტის ცნობილი მიმომხილველი დ. ზენკი, რომლის თქმითაც, შარშან გამართული ათლეტიანი საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ მწვრთნელებს საშუალება არა აქვთ შეავსონ წინასაოლიმპიადო ვაკუუმი.

მეხიკოში შეერთებული შტატების სპორტსმენთა წარმატება, პოლისა და ზენკის თანამოაზრეთა რწმენით, სიმაღლის შიშით იყო განპირობებული. „მძლეოსნები და მოცურავეები დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდნენ მაღალმთიანეთში და ოლიმპიური ჯილდოების წვიმაც ამან გამოიწვია. მიუნჰენის წინ კი ისევ ძველებურ მეთოდებს მივმართეთ, რაც მეხიკოსთან შედარებით, მართალია, ერთი ორად მარტივი ჩანს, მაგრამ, ამავე დროს, მოძველებულია“.

პოლი, ზენკი და მათი კომპანია, როგორც ჩანს, წინასწარ იზღვევენ თავს და ახლავე ცდილობენ საზოგადოებრივი აზრი შექმნან. მათი ტაქტიკა მარტივია: თუ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა მეხიკოს ტრიუმფი გაიმეორა, პესიმისტები არავის გაახსენდება. ხოლო თუ მათი სიტყვები გამართლდა, უკეთესი წინასწარმეტყველები ამერიკის სპორტს არც ჰყოლებია.

ჩვენ კი ერთ ასეთ დეტალს გავიხსენებთ: 1966–1968 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მეხიკოს ასპარეზობისთვის მოსამზადებლად კერძო თუ სახელმწიფო წყაროებიდან 2,5 მილიონი დოლარი მიიღო. 1970–1972 წლებში ამავე მიზნით გამოიყო ზუსტად ოთხჯერ მეტი თანხა — 10 მილიონი დოლარი. ეს კი საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ამერიკული საზოგადოების თვალში ოლიმპიური თამაშების პრესტიჟი იზრდება.

„ლელოს“ მიმომხილველი.

# „ამაზონელთა“ შეტევა

დღეს ისეთი დროა, უკვე უცნაურად არ გვეჩვენება ქალთა ასპარეზობა საცხენოსნო სპორტში — ნებისმიერი რანგის შეჯიბრებებში, ოლიმპიური თამაშების ჩათვლით. 1970 წელს ცხენის გაწვრთნაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა საბჭოთა სპორტსმენი ქალი ელენა პეტუშკოვა. ეს ქალთა პირველი გამარჯვება როდი იყო ამ ოდესღაც წმინდა მამაკაცურ სპორტში.

ორმოცდაათიან წლებში გერმანიის გუნდის სახელით გაწვრთნაში მხოლოდ ქალები გამოდიოდნენ ცნობილი ლიზელოტ ლინზენჰოფის მეთაურობით. სწორედ ამ „ქალთა ნაკრებმა“ მოიპოვა ვერცხლის მედალი 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებში — პირველობა დაუთმო მხოლოდ შვეციის სახელგანთქმულ ვაჟთა ტრიოს, რომლის ლიდერი მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰენრი სენ-სირი იყო.

გაწვრთნა რომ „დაიპყრეს“, ქალები დაბრკოლებათა გადალახვაზეც გადავიდნენ. ინგლისელი პატ სმაისი და საბჭოთა სპორტსმენი ტატიანა კულიკოვსკაია, მაგალითად, წარმატებით უწევდნენ მეტოქეობას მამაკაც კონკურსისტებს.

არცთუ დიდი ხნის წინ ქალებმა საცხენოსნო სპორტის კლასიკური სახეობების მესამე სახეობაში — სამჭიდშიც სცადეს ძალა და ირლანდიელი მხედარი მერი გორდონ-უოტსონი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ინგლისის გუნდი, რომლის შემადგენლობაში ქალები იყვნენ, კერძოდ, ჯეინ მერი ბულენი, მეხიკოს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. სამჭიდელთა ტურნირი კი ბოლო თამაშებში ძალიან ძნელ პირობებში გაიმართა: ყველაზე სერიოზული ასპარეზობის — საველე გამოცდების დღეს კოკისპირულად წვიმდა. რამდენიმე ადგილას ტრასის გადალახვა პირდაპირ ცურვით იყო საჭირო. მაგრამ ქალები არ შედრკნენ ამ სიძნელეების წინაშე.

როგორც ჩანს, ასეთი საიმედო გამოცდილებით შთაგონებულ მწვრთნელებს ახლა ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში ცხენოსანი ქალები შეჰყავთ. ინგლისმა ყველას გადააჭარბა — მისი სამჭიდელთა გუნდი მთლიანად ქალებითაა დაკომპლექტებული. ამ გუნდში იყო პრინცესა ანა, მაგრამ ახლახან სერიოზულად დაშავდა მისი ცხენი, სახელად დუბლეტი, და პრინცესა ალბათ მიუნჰენში აღარ გამოვა.

სამოყვარულო საცხენოსნო სპორტში ხოლოდური პლაცდარმის დაკავების შემდეგ ქალებმა პროფესიულ დოლსაც შეუტიეს. მაგალითად, დაახლოებით 40 ცხენოსანი ქალი ჩაეწერა დოლში, რომელსაც საპატრონო ფირმა ატარებს ლონდონის „კემპტონ-პარკის“ იპოდრომზე. საინტერესოა, რომ მრავალი წლის მანძილზე ბრიტანეთის ჟოკეების კლუბი უარს ეუბნებოდა ქალებს დოლში ოფიციალურ გამოსვლაზე.

ქალთა გამარჯვება საცხენოსნო სპორტში მათი მონაწილეობის ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტია. აქ მოხდა ჯერ მათი „ემანსიპაცია“, შემდეგ კი საპატიო კვარცხლბეკზე ქალთა დიდი იერიშის მოწმენი გავხდით.

ვ. ზაზაიანი.
(საკდესის კორ.).

# მასწავლებელი რაპირით

როცა მარი-შანტალ დემაიმ, გრენობლელმა მასწავლებელმა, ვენაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო და საფრანგეთის უძლიერესი მოფარიკავის უკვე მივიწყებული დიდება დაუბრუნა, ბევრმა სპეციალისტმა შემთხვევითად მიიჩნია მისი (დემაი უკვე დიდი ხანია გასცდა 20 წლის ასაკს) წარმატება.

1972 წლის აპრილში დემაი ეწვია მინსკს, სადაც ტრადიციისამებრ „ბელორუსიის თასზე“ სასპარეზოდ თავი მოიყარეს მსოფლიოს უძლიერესმა მოფარიკავე ქალებმა, და კვლავ გაიმარჯვა, თანაც, დამატებით ბრძოლაში მძაფრი შერკინება მოუგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, მინსკელ ელენა ბელოვას.

ახლა, მიუნჰენში, მოფარიკავეები ოქროს მედლისთვის ბრძოლაში უდავოდ სახიფათო მეტოქედ მიიჩნევენ მარი-შანტალს. „ჩემი ოცნებაა მიუნჰენში გამარჯვება და მხოლოდ ამის შემდეგ მივატოვებ დიდ სპორტს“, — განუცხადა ჟურნალისტებს დემაიმ.

...მე მსოფლიო ჩემპიონს შევხვდი პარიზში, სადაც იგი რამდენიმე დღით ჩავიდა თავისი მშობლების სანახავად და სავარჯიშოდ მამამისის ხელმძღვანელობით, რომელიც მსოფლიო ჩემპიონისთვის კვლავინდებურად შეულახავ ავტორიტეტად რჩება. უწინ მამამისი საფრანგეთის ჩემპიონატებში მონაწილეობდა, თავისი ქვეყნის ნაკრებს ავარჯიშებდა, ამჟამად კი პარიზის ერთ-ერთ სპორტსკოლაში ბავშვებს ზრდის. „მამაჩემი ყველაზე ყურადღებიანი, ჩემთვის ყველაზე გამოცდილი ადამიანი და მეგობარია“, — თქვა მარი-შანტალმა.

იგი ძალიან ჰგავს მამას. ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნული როდია. მარი-შანტალი მამამისივით ფარიკაობითაც არის გატაცებული და მასწავლებლობითაც: გრენობლის ერთ-ერთ ლიცეუმში ბავშვების ფიზიკურ აღზრდას ემსახურება.

მარი-შანტალი ჰყვება, რომ ფარიკაობას ათი წლიდან მოჰკიდა ხელი, მაგრამ საფრანგეთის პირველობაში მხოლოდ 1960 წელს გაიმარჯვა.

### მათი კურსი — ოლიმპიადა

დემაის ხშირ წარმატებებს დიდ შეჯიბრებებში, როგორც მამამისმა აღნიშნა, კარგი ფიზიკური მომზადების, ნაღალი ტექნიკისა და მოქნილი ტაქტიკის ურთიერთშეხამება განაპირობებს. „მთავარი მარტო რაპირის კარგად ფლობა როდია, — თქვა მარი-შანტალმა, — მთავარია „იგრძნო“ მეტოქე, „გაუგო“, ფხიზლად შეაფასო მისი ძლიერი მხარეები და ნაკლოვანებები“. ჩემპიონი აღნიშნავს, რომ ბევრი სპორტსმენი ზედმეტადაა გატაცებული ფარიკაობის ტექნიკით, ნაკლებ ყურადღებას უთმობს ტაქტიკასა და იმპროვიზაციას. ისინი თავისებურ დოგმატიკოსებად იქცევიან, ეს კი სპორტის ინტელექტუალურ და რომანტიკულ სახეობას — ფარიკაობას — მშვენებას აკლებს.

მარი-შანტალი კარგად იცნობს საბჭოთა სპორტსმენებს. ბოლო ათი წლის მანძილზე იგი არაერთხელ შეხვდა მათ სპორტულ სარბიელზე და დაუმეგობრდა კიდეც. განსაკუთრებული კმაყოფილებით იხსენებს მარი-შანტალი მოსკოვში სტუმრობას 1971 წლის მარტში, როცა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ვარჯიშის საშუალება მიეცა.

დემაიმ თქვა, რომ მისი პირადი ცხოვრება სპორტთან მტკიცედაა დაკავშირებული. „ჩემს ვაჟს, რომელსაც ახლახან შეუსრულდა ათი წელი, სურს სპორტსმენი გახდეს. მაგრამ, მგონი, იგი ოჯახის ტრადიციებს ღალატობს და უპირატესობას თხილამურებს ანიჭებს. იქნებ ეს იმიტომ ხდება, რომ ახლა გრენობლში ვცხოვრობთ. იქ თოვლია, რომელსაც საფრანგეთის სხვა რაიონებში ვერც ისე ხშირად ნახავთ“.




მარი-შანტალმა წარმატება უსურვა საბჭოთა სპორტსმენ ქალებს მიუნჰენის ოლიმპიადაში. „ოღონდ ესაა: მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ მე არ ვაპირებ იოლად დავუთმო პირველობა“, — თქვა მან.

ვ. ძიანიკოვი.
(საკდესის კორ.).

პარიზი.

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 10149